



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2012 წლის 26 სექტემბრის
 №754 დადგენილებით

მოდულიზებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2017 წლის 2 ივნისის
 № 2425 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

სოციალური მეცნიერებები
SOCIAL SCIENCES

ფაკულტეტი

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
Business-Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი იაშა კუტუბიძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სოციალური მეცნიერებების დოქტორი Doctor of Social Sciences მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 180 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

180 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

<p>სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს სოციალური მეცნიერებების სფეროს საკვანძო მომენტების გამოკვეთას და სპეციალისტების მომზადებას ჩვენი ქვეყნისა და რეგიონისათვის განსაკუთრებით აქტუალური საკითხების მეცნიერული კვლევისათვის; დარგში მიღებული ცოდნის გაღრმავებას; ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას; კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლის საფუძველზე ახალი ცოდნისა და ინფორმაციის შექმნასა და გენერირებას.</p> <p>სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • აკადემიურ დონეზე დოქტორანტები უზრუნველყოს აღნიშნული სფეროს ფუნდამენტური დისციპლინების კრიატიული ცოდნით;

- პროფესიულ დონეზე პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს დოქტორანტები იმ პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მოეთხოვება აღნიშნულ დარგს და შემუშავებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ვალიდური ინსტიტუტების მიერ;
- პროგრამის საბოლოო მიზანია, მიაღწიოს პროფესიული და აკადემიური სტანდარტების ინტეგრაციას და მოამზადოს კრიტიკული რეფლექსიის მქონე სპეციალისტი, რომელიც დაინტერესებულია განივითაროს თავისი პროფესიული უნარები და რომელსაც შეეძლება ინტეგრაცია პოლიტიკური და სოციალური პროცესების ყველა დონეზე.
- სადოქტორო პროგრამა სოციალურ მეცნიერებებში მიზნად ისახავს აღნიშნულ სფეროში სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადებას და მთავრდება სოციალური მეცნიერებების დოქტორის ხარისხის მინიჭებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

აპლიკანტები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფლობდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს.
- უცხოური ენის ცოდნა - B2 დონე - აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდა სტუ-ს ენების ცენტრში ან წარმოადგინოს ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი. აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოენოვანი პროგრამები) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატების წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.
- მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში წარმატებული მონაწილეობა.
- გასაუბრება სპეციალობაში.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება

- გაცნობიერებული აქვს კვლევების რელევანტური მეთოდოლოგიის და მეთოდიკის სრულყოფილი ცოდნის აუცილებლობა კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად წარმართვის ან ხელმძღვანელობისათვის;
- გაცნობიერებული აქვს მის წინაშე მდგარი პრობლემების ახალი, თანამედროვე და ორიგინალური გადაჭრის აუცილებლობა; სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის შეფასებისათვის; სხვადასხვა რესურსების ოპტიმალურ გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისათვის;
- გაცნობიერებული აქვს მეცნიერებისა და განათლების სოციალური პასუხისმგებლობა.
- საფუძვლიანად იცის სფეროში (პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, კულტურული მემკვიდრეობის) დამკვიდრებული უახლესი კვლევის მეთოდები და ამის საფუძველზე შეუძლია დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება;
- სისტემური და სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე წყვეტს კრიტიკულ პრობლემებს, ზოგადად სოციალური მეცნიერებების და პოლიტიკის მომიჯნავე სფეროებში და, კონკრეტულად, მის მიერ არჩეული კვლევის თემის ფარგლებში, რის საფუძველზეც მას შეუძლია აწარმოს თეორიული ან გამოყენებითი კვლევა, რომელიც თვისობრივად

გამდიდრებს არსებულ ცოდნას ამ სფეროში;

- იცის სოციალური მეცნიერებების განვითარების ძირითადი ეტაპები, მის ევოლუციაში მომხდარი ცვლილებები და შეუძლია არსებული ცოდნის ხელახლა გააზრება და ნაწილობრივი გადაფასება;
- იცის შესაბამის მიმართულებაში (პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, კულტურული მემკვიდრეობის) სამეცნიერო კონცეფციები, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში;
- სიღრმისეულად ფლობს მეცნიერული შემეცნების მეთოდოლოგიას;
- იცის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში სოციალური მეცნიერებების შესაბამის მიმართულებებში არსებული თანამედროვე ტენდენციები, მიმართულებები და განვითარების კანონზომიერებები;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- კომპლექსური კვლევითი პროექტის სრული ციკლის დაგეგმვა და თავისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელება;
- ოპტიმალურად გადაანაწილოს არა მხოლოდ თავისი, ასევე დიდი კვლევითი ჯგუფის დრო, გაანაწილოს ფუნქციები, უხელმძღვანელოს ჯგუფის მუშაობას და დასახოს კვლევითი ჯგუფის ყველა წევრის კონკრეტული ამოცანები და პრიორიტეტები;
- მულტიდისციპლინური მიდგომებით გადაჭრას პრაქტიკული მიდგომები;
- ჩამოაყალიბოს პრობლემების გადაჭრის ახალი მიდგომები.
- მაღალ პროფესიულ დონეზე მზადაა წარმოადგინოს დარგის პრობლემის ღრმა და მრავალმხრივი ანალიზი;
- შეიმუშაოს ეფექტიანი რეკომენდაციები დასმული პრობლემის გადაჭრის ყველაზე ოპტიმალური გზების შესახებ;
- დასახოს კომპლექსური ღონისძიებები ცალკეული და მთლიანი პრობლემის გადასაწყვეტად;
- შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, რომელიც მიმართულია ახალი ცოდნის შექმნაზე;
- მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილებები თეორიული კონცეფციებისა და მიდგომების გამოყენებით;
- ირჩევს და ეფექტურად იყენებს კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიას.
- ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლად შემუშავება და კვლევის შედეგების რეალიზაცია რეფერირებად პუბლიკაციებში.

დასკვნის უნარი

- სოციალური მეცნიერებების დოქტორს შეუძლია მეცნიერული თეორიისა და იდეების კრიტიკული შედარება და შეფასება;
- სამეცნიერო და სასწავლო-კვლევით საქმიანობაში შეუძლია ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება და განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურული ნაკადის სწრაფად დამუშავება.
- სოციალური მეცნიერებების დოქტორს მაღალ დონეზე შეუძლია არსებული პრობლემის გადაჭრისათვის ახლებური გზების ძიება და მეცნიერულად ღრმად დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;
- შესაბამისი დარგის რთულ პრობლემაზე პროფესიული და ყოველმხრივი ანალიზის

შედეგად იძლევა ფასეულ რეკომენდაციებს, დასკვნებსა და ჰიპოთეზებს;

- სვამს პრობლემას და თეორიული ამოცანების საფუძველზე დამოუკიდებლად იღებს და ეფექტიან გადაწყვეტილებებს;
- სამეცნიერო და სასწავლო-კვლევით საქმიანობას პასუხისმგებლობითა და შემოქმედებითად ეკიდება.

კომუნიკაციის უნარი

- თავისუფლად შეუძლია ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში.
- შეუძლია ვრცელი, კომპლექსური ტექსტების გაგება ყველა დეტალის ჩათვლით.
- შეუძლია შეუფერხებლად ისე საუბარი, რომ საჭირო სიტყვებისა და ფრაზების ძიებას დროს არ დაუთმობს. თავისუფლად იყენებს ენას სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ მშობლიურ და უცხო ენებზე;
- საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე, კონფერენციებსა და სემინარებზე გამოსვლისას ფლობს ორატორული ხელოვნების უნარს, ასევე შეუძლია თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;
- აქვს მეცნიერული წერისა და სამეცნიერო კომუნიკაციის მაღალი უნარი;

სწავლის უნარი

- შეუძლია თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგია აირჩიოს და ეფექტურად გამოიყენოს კვლევის პროცესში;
- შეუძლია უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;
- სოციალური მეცნიერების საგნობრივი, მსოფლმხედველობრივი და მეთოდოლოგიური სპეციფიკის წარმოდგენა.
- შეუძლია საკუთარი ახალი მეცნიერული იდეების გენერირება;
- კვლევის სფეროში სხვადასხვა თეორიების და კონცეფციების შედარება, ანალიზი, შეფასება და დასკვნების გაკეთება;
- სრულფასოვანი და მასშტაბური პროექტის დამოუკიდებლად შემუშავება;

ღირებულებები

- საუნივერსიტეტო გარემოში მუშაობა უყალიბებს თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებას, მათ ქართულ რეალობაში დამკვიდრების სურვილსა და მზაობას;
- ახალ ღირებულებათა დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შიემუშავებას;
- სოციალურ მეცნიერებებში ახალ ღირებულებათა დამკვიდრების გზების შემუშავებას;
- სასწავლო და კვლევით გარემოში გამოიმუშავებს ისეთ პიროვნულ და პროფესიულ ფასეულობებს, რომელიც ეროვნული და საერთაშორისო საზოგადოებისათვის მისაღებ მაღალხნეობრივ სტანდარტებს შეესაბამება;
- მაღალი ხნეობრივი პასუხისმგებლობით პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის არსებული ნორმების დაცვა.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

ლექცია პრაქტიკული სამეცნიერო-თემატური სემინარი კონსულტაცია

დამოუკიდებელი მუშაობა კვლევითი კომპონენტი კონსულტაცია დისერტაციის გაფორმება დისერტაციის დაცვა

სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პედაგოგს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს.

გთავაზობთ სწავლებისა და სწავლის ყველაზე გავრცელებულ მეთოდებს და მათ განმარტებებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პედაგოგი.

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

3. **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

4. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა 2 მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

5. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს

დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს

საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

6. ინდუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

7. დედუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

8. ანალიზის მეთოდი – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

9. სინთეზის მეთოდი – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

10. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

11. წერითი მუშაობის მეთოდი – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

12. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

13. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

14. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

15. ელექტრონული სწავლება (E-learning) – გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს

ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ

აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები იხილეთ შესაბამის სილაბუსებში და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების წესში, იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე:

http://www.gtu.ge/study/scavleba/sadoqt_Sefas.pdf

დასაქმების სფერო

საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს მთავრობის სტრუქტურები, საერთაშორისო, არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციები, სახელმწიფო, კერძო უმაღლესი სასწავლებლები და კვლევითი დაწესებულებები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, პოლიტიკური პარტიები, სააგენტოები, საშუაშაველო ორგანიზაციები, საელჩოები, სოციალური სააგენტოები და ა.შ.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, საპროფესოროებით, ბიბლიოთეკით და ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდით, კომპიუტერული კლასით, კომპიუტერული პროგრამებით, უწყვეტი ინტერნეტით. სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით:

1. პროფესორი იგორ კვესელავა;
2. პროფესორი იაშა კუტუბიძე;
3. პროფესორი ვაჟა შუბითიძე;
4. პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი;
5. პროფესორი რევაზ მიშველაძე;
6. პროფესორი სოსო სიგუა;
7. სრული პროფესორი ნანა ხაზარაძე;
8. სრული პროფესორი გიორგი გაჩეჩილაძე;
9. სრული პროფესორი ჰენრი კუპრაშვილი;
10. ასოცირებული პროფესორი ზურაბ კვეტენაძე;
11. ასოცირებული პროფესორი მაია ამირგულაშვილი;
12. ასოცირებული პროფესორი ედიშერ გვენეტაძე;
13. ასოცირებული პროფესორი როზა გაფრინდაშვილი;
14. ასოცირებული პროფესორი ნინო გომართელი;

პროგრამას თან ახლავს ხელმძღვანელის CV.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	საგნის კოდი	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	I წელი		II წელი		III წელი		სულ კრედიტები
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
		სასწავლო კომპონენტების სავალდებულო ელემენტები	20	10	15	15			60
1.	AWSRM07GA1-L	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	5						
2	SOCT007GA1-L	სოციალური თეორიები	5						
3	-	პროფესორის ასისტენტობა		5					
4	TMS0007GA1-L	სწავლების მეთოდები	5						

5	GEWO007GA1-L	საქართველო და მსოფლიო		5					
		არჩევითი სპეცკურსები							
6	DCEPW07GA1-L	დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები მსოფლიოში.							
7	PIRMW07GA1-L	თანამედროვე მსოფლიოს ინტეგრაც იისა და რეგიონალიზაციის პროცესები							
8	CTC0007GA1-L	კომუნიკაციის თანამედროვე თეორიები							
9	PSC0007GA1-L	სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია	5						
10	POLM007GA1-L	პოლიტიკური მარკეტინგი							
11	CHOG07GA1-L	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა							
12	WCR0007-L	მსოფლიო ცივილიზაციები და რელიგიები							
	-	პირველი თემატური სემინარი			15				
	-	მეორე თემატური სემინარი				15			
		კვლევითი კომპონენტი	10	20	15	15	30	30	120
1	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 1	10						
2.	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 2		20					
3.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი - 1			15				
4.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი - 2				15			
5.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი - 3					30		

6.	-	დისერტაციის დასრულება, დაცვა						30	
ECTS კრედიტები		სემესტრში	30	30	30	30	30	30	180
		სასწავლო წელს	60		60		60		180

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	AWSRM07GA1-L	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	X
2	SOCT007GA1-L	სოციალური თეორიები	X	X	X	X	X	X
3	-	პროფესორის ასისტენტობა	X	X		X		X
4	TMS0007GA1-L	სწავლების მეთოდები	X	X	X	X	X	X
5	GEWO007GA1-L	საქართველო და მსოფლიო	X	X	X	X	X	X
		არჩევითი სპეც კურსები						
6	DCEPW07GA1-L	დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები მსოფლიოში.	X	X	X	X		
7	PIRMW07GA1-L	თანამედროვე მსოფლიოს ინტეგრაციისა და რეგიონალიზაციის პროცესები	X	X	X	X	X	X
8	CTC0007GA1-L	კომუნიკაციის თანამედროვე თეორიები	X	X	X	X	X	X
9	PSC0007GA1-L	სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია	X	X	X	X		X
10	POLM007GA1-L	პოლიტიკური მარკეტინგი	X	X	X	X	X	X
11	CHOG07GA1-L	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა	X	X	X	X	X	X
12	WCR0007-L	მსოფლიო ცივილიზაციები და რელიგიები	X		X	X		X
	-	პირველი თემატური სემინარი	X	X	X	X	X	X
	-	მეორე თემატური სემინარი	X	X	X	X	X	X

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საათები		ECTS კრედიტი/საათი	ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
	საგანი								
1.	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები		5/135	45			2	1	87
2.	სოციალური თეორიები		5/135	45			2	1	87
3.	პროფესორის ასისტენტობა		5/135	45			2	1	87
4.	სწავლების მეთოდები		5/135	45			2	1	87
5.	საქართველო და მსოფლიო		5/135	45			2	1	87
	არჩევითი სპეც კურსები						2	1	87
6.	დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები მსოფლიოში.		5/135	45			2	1	87
7.	თანამედროვე მსოფლიოს ინტეგრაციისა და რეგიონალიზაციის პროცესები		5/135	45			2	1	87
8.	კომუნიკაციის თანამედროვე თეორიები		5/135	45			2	1	87
9.	სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია		5/135	45			2	1	87
10.	პოლიტიკური მარკეტინგი		5/135	45			2	1	87
11.	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა		5/135	45			2	1	87
12.	მსოფლიო ცივილიზაციები და რელიგიები		5/135	45			2	1	87

პროგრამის ხელმძღვანელი

იაშა კუტუბიძე

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის დეკანი

ირაკლი გაბისონია

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

10 მაისი, 2011 წელი

მოდირებულია

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

31.05.2017 ოქმი N12

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ირაკლი გაბისონია

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

გიორგი ძიძიგური

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს


2017 წლის 11 ოქტომბრის

დადგენილება №2581

სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის,
პროფ. ივ. ჯაგოდნიშვილის და
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
დეკანის, პროფ. ი. გაბისონიას მოხსენებითი ბარათის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები“
(ხელმძღვანელი, პროფ. ი. კუტუბიძე) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობები
ფაკულტეტიდან გადავიდეს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ამასთანავე ზემოხსენებული პროგრამის მეორე
და მესამე კურსელი დოქტორანტები, სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით
დარჩნენ მიღწევად რეჟიმში სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტზე. პირველკურსელი დოქტორანტები, რომლებმაც გასაუბრება გაიარეს
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ჩაირიცხონ საინჟინრო
ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე -  ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი  გ. სალუქვაძე